განკარგულება:**g-27. 2723207001**
თარიღი:**26/07/2023**

გ ა ნ კ ა რ გ უ ლ ე ბ ა № 40

26 ივლისი 2023 წ.

ქ. თელავი

თელავის მუნიციპალიტეტის საპატიო წოდების და ჯილდოს შემოღების, მინიჭების წესის და საპატიო წოდების სიგელის ფორმის დამტკიცების შესახებ - ნორმატიული აქტის მისაღებად ადმინისტრაციული წარმოების დაწყების შესახებ

საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი“ 24-ე მუხლის მე-2 პუნქტის, საქართველოს კანონის „საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსი“ 106[1] მუხლის პირველი და მეორე ნაწილების თანახმად,

1. დაიწყოს ადმინისტრაციული წარმოება **თელავის მუნიციპალიტეტის საპატიო წოდების და ჯილდოს შემოღების, მინიჭების წესის და საპატიო წოდების სიგელის ფორმის დამტკიცების შესახებ -** ნორმატიულ ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის მიღებასთან დაკავშირებით.

2. დაევალოს საკრებულოს აპარატს გამოაქვეყნოს ცნობა ადმინისტრაციული წარმოების შესახებ.

3. თელავის მუნიციპალიტეტის საკრებულოს კომისიებში და ფრაქციებში **თელავის მუნიციპალიტეტის საპატიო წოდების და ჯილდოს შემოღების, მინიჭების წესის და საპატიო წოდების სიგელის ფორმის დამტკიცების შესახებ** - ნორმატიული აქტის პროექტის განხილვა განხორციელდეს 2023 წლის 21 აგვისტოს ჩათვლით.

4. თელავის მუნიციპალიტეტის საკრებულოს **თელავის მუნიციპალიტეტის საპატიო წოდების და ჯილდოს შემოღების, მინიჭების წესის და საპატიო წოდების სიგელის ფორმის დამტკიცების შესახებ -** დადგენილების პროექტი საკრებულოს წარედგინოს დასამტკიცებლად - 2023 წლის 01 სექტემბრამდე.

5. განკარგულება ძალაშია გამოქვეყნებისთანავე.

6. განკარგულების გასაჩივრება შესაძლებელია თელავის რაიონულ სასამართლოში, მისი ძალაში შესვლიდან 1 თვის ვადაში (მის: ქ. თელავი, დავით აღმაშენებლის N41).

თენგიზი მთვარელიშვილი

თელავის მუნიციპალიტეტის საკრებულო-საკრებულოს თავმჯდომარე

გამოყენებულია კვალიფიციური ელექტრონული ხელმოწერა/ ელექტრონული შტამპი